

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N20 - Digipass

1. **Digipass**-ის საშუალებით **კლიენტს** შესაძლებელია მიეწოდოს **ერთჯერადი კოდები** ნაცვლად SMS შეტყობინებით მიღებული **ერთჯერადი კოდებისა, ინტერნეტ ბანკსა და მობილ ბანკში** შესასვლელად (**რთული ავტორიზაციის** შემთხვევაში) და **ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში, ტელეფონ ბანკში ან/და იმეილ ბანკში ოპერაციების** შესასრულებლად.
2. **ბანკი კლიენტს** სთავაზობს ორი სახის **Digipass**-ს: მატერიალური ფორმის მოწყობილობას და პროგრამულ **Digipass**-ს, მობილური აპლიკაციის სახით.
3. **კლიენტს** საშუალება არ აქვს ერთდროულად ისარგებლოს ორივე სახის **Digipass**-ით.
4. მატერიალური ფორმის **Digipass**-ი **კლიენტს** გადაეცემა სერვისცენტრში, ხოლო **Digipass** აპლიკაციის გააქტიურება **კლიენტს** შეუძლია შესაბამისი აპლიკაციის მობილურ ტელეფონში ჩამოტვირთვით.
5. **Digipass**-ზე დაგენერირებული **ერთჯერადი კოდის**, აგრეთვე **Digipass**-ის გასააქტიურებლად გაგზავნილი **ერთჯერადი კოდის** მოქმედების ვადაა 3 (სამი) წუთი.
6. ერთ **კლიენტი** შესაძლებელია ფლობდეს რამდენიმე მატერიალური ფორმის **Digipass**-ს, თუმცა ერთი მატერიალური ფორმის **Digipass**-ი შესაძლებელია გაწერილი იყოს მხოლოდ ერთ **კლიენტზე**.
7. მატერიალური ფორმის **Digipass**-ის დაკარგვის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს სერვისცენტრს ან **ინტერნეტ ბანკს (ვებ-გვერდზე ibank.ge) Digipass** დასაბლოკად.
8. მატერიალური ფორმის **Digipass**-ის ნებისმიერი ფორმით დაზიანების შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია მიმართოს სერვისცენტრს და **ბანკს** დაუბრუნოს **Digipass**, ხოლო **Digipass**-ით სარგებლობის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში **კლიენტმა** უნდა შეიძინოს ახალი **Digipass**.
9. **Digipass** აპლიკაციის გასააქტიურებელი **ერთჯერადი კოდი** შესაძლებელია **კლიენტმა** მიიღოს სერვისცენტრში, **ინტერნეტ ბანკის** ან **ტელეფონ ბანკის** საშუალებით.
10. **Digipass** აპლიკაციის გასააქტიურებლად **ბანკი კლიენტს, ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში** არსებულ **ფინანსურ ნომერზე** გაუგზავნის **ერთჯერად კოდს**.
11. **Digipass** აპლიკაციით სარგებლობა **კლიენტს** შეუძლია, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის როუმინგის გააქტიურებისა და ინტერნეტთან წვდომის გარეშე).
12. **Digipass** აპლიკაციის გააქტიურება ავტომატურად გამოიწვევს მატერიალური ფორმის **Digipass**-ის დეაქტივაციას, რომლის ხელახლა აქტივაცია (**Digipass** აპლიკაციის დეაქტივაციის საფუძველზე) შესაძლებელია სერვისცენტრში.
13. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს** სურს **Digipass** აპლიკაციის დეაქტივაციით გაუქმებული მატერიალური ფორმის **Digipass**-ის ხელახალი აქტივაცია, **კლიენტმა** ფიზიკურად უნდა წარადგინოს მატერიალური ფორმის **Digipass** სერვისცენტრში.
14. **Digipass** აპლიკაციის დასაბლოკად **კლიენტმა** უნდა მიმართოს ნებისმიერ სერვისცენტრს.
15. **კლიენტი** ვალდებულია მობილური ტელეფონიდან წაშალოს **Digipass** აპლიკაცია, მობილური ტელეფონის გამოცვლისას, გასხვისებისას ან სხვაგვარად მისი მფლობელობიდან გასვლის შემთხვევაში.
16. **Digipass** აპლიკაციის მობილური ტელეფონიდან წაშლის შემთხვევაში და ახლიდან **Digipass** აპლიკაციის გადმოწერის შემთხვევაში, **კლიენტს** მოუწევს **Digipass** აპლიკაციის აქტივაცია ხელახლა წინამდებარე **დანართით** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.



საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N20 – Digipass

17. ერთ მობილურ ტელეფონში ჩამოტვირთული **Digipass** აპლიკაციას ნებისმიერ დროს შეიძლება მიეზას სხვადასხვა **კლიენტის** იუზერი. **Digipass** აპლიკაციისთვის აქტიური იქნება ბოლოს მიბმული იუზერი და შესაბამისად, **Digipass** აპლიკაციით გენერირებულ **კოდებს** მხოლოდ ბოლოს მიბმული იუზერი გამოიყენებს.